

და თუ სადმე თარგმანი თარგმანებაში გადადის, აქ სწორედ ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ბერეზით, 49:10 შეფარულად მესიანისტურია, მაგრამ თავსილს ონკელოსის თარგუმის კვალზე ექსპლიციტურად გამოაქვს მესიანისტური აზრი: „ვიდრემდე რომ მოვიდოდეს მაშიახი“, თუმცა რაბი აბრამ ელიგულაშვილი თითქოს დარწმუნებული არ არის ასეთი თარგმანის აბსოლუტურ სისწორეში, რადგან, როგორც რეუვენ ენოხი სქოლიოში შენიშნავს, რაბის ჯერ შილო (როგორც დედანშია) უთქვამს, მერე მაშიახად გაუსწორებია (გვ. 234). ეს კი მეტისმეტი ანაქრონიზმია, რადგან პატრიარქების ეპოქაში არც იდეა და არც ტერმინი მესიანიზმისა არ არსებობდა.

ასეთია ჩვენი შენიშვნები, რომლებიც გაგვიჩნდა თავსილის ზედაპირული კითხვისას. მხოლოდ აღვნიშნეთ ისინი, არ გვიცდია დასკვნების გამოტანა. ამ პუბლიკაციის პირველი ნაწილის (ტექსტის) შემდეგ ამავე სერიის XXIX ტომში (2009) რეუვენ ენოხმა ებრაულ ენაზე გამოსცა მისი მეორე ნაწილი – ტექსტის ანალიზი („თავსილის კვლევა დაბადების წიგნის მიხედვით“). გამოკვლევაში პასუხი აქვს გაცემული ბევრ კითხვას, რომელსაც თავსილი – ეს უცნაური ქართული ტექსტი ბადებს. ამავე დროს იგი, როგორც ქართველ ებრაელთა დიალექტის ნიმუში, სხვანაირად რომ ვთქვათ, ქართული ენის ებრაული დიალექტი, ნაყოფიერი ასპარეზია მრავალმხრივი ლინგვისტური (მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური) კვლევისთვის, რასაც რუბენ ენუქაშვილი, როგორც ქართული ენის ყველა პლასტის შესანიშნავი მცოდნე, წარმატებით ასრულებს.

იმედია, იგი ქართულადაც გამოაქვეყნებს თავისი კვლევის შედეგებს, რასაც ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება დიდი ინტერესით მოელის.

გამოცემაში პარალელურად დაბეჭდილია ქართული ტექსტის ტრანსლიტერაცია ვარიანტებითურთ. წიგნს ერთვის სერიის რედაქტორის აჰარონ მამანის წინასიტყვა და ტექსტის გამომცემლის რეუვენ ენოხის შესავალი (ებრაულ ენაზე) და მისივე ინგლისური აბსტრაქტი.

ზურაბ კიკნაძე

ჯემალ შარაშენიძე. შუმერული ენის გრამატიკა, თსუ გამ-ბა, თბ., 2005, 92 გვ.;
ჯემალ შარაშენიძე. შუმერული ქრესტომათია, თსუ გამ-ბა, თბ., 2005, 499 გვ.;
ჯემალ შარაშენიძე. შუმერული სილაბარიუმი. Jemal Sharashenidze. Sumerian syllabary. Studies of Society of Assyriologists, Bibliologists and Caucasologists 4 [Tbilisi, Georgia, 2008], SABC, 215 გვ.

პროფესორ ჯემალ შარაშენიძეს, ისტორიკოს-შუმეროლოგს, წილად ხვდა, პირველად ქართულ ენაზე დაეწერა შუმერული ენის გრამატიკის სახელმძღვანელო ქრესტომათიასთან და სილაბარიუმთან ერთად, განკუთვნილი თსუ ასირიოლოგიის კათედრის სტუდენტთათვის. როცა იგი იწერებოდა, ჯერ

კიდევ არსებობდა ეს კათედრა, რომელიც შვიდი ათეული წლის შემდეგ (1991 წ.) აღდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ჯერ კიდევ ისწავლებოდა შუმერული ენა, როგორც სავალდებულო საგანი, როგორც შუამდინარული კულტურისა და ცივილიზაციის გასაღები. სამწუხარო ფაქტია, რომ ამ ბოლო ხანებში უნივერსიტეტის მესვეურთა გულგრილობამ ასირიოლოგიური დისციპლინებით, შუმერული ენით სტუდენტთა დაინტერესებაც გაანეღა. სახელმძღვანელო რამდენადმე დაგვიანებულია, თუმცა, როგორც იტყვიან, ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. იგი უკვე არსებობს, როგორც უანგარო ინტერესის ნაყოფი, და ელის უკეთეს დროს, როცა ჩვენი სტუდენტობა კვლავ დაეწაფება ამ უძველეს და მშვენიერ ენას, რომლის ცოდნა პრიორიტეტული გახდება. საკვირველია და, შესაძლოა, პარადოქსიც, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს საზოგადოებაში განმტკიცებულია რწმენა შუმერულისა და ქართულის ნათესაობისა, სწორედ ის პირნი, ვისთვისაც ეს შეუვალი ჰუმბარიტებაა, კმაყოფილებიან მისი აპრიორულობით და სრულებით არ ცდილობენ დაეუფლონ ამ ენის საფუძვლებს, ამჯობინებენ ისევ და ისევ საეჭვო ღირსების ზერელე დილექტანტებად დარჩნენ. პროფესორმა ჯემალ შარაშენიძემ სახელმძღვანელოთა სერიის შექმნით მოიხადა ვალი იმ დისციპლინის წინაშე, რომელსაც ათეული წლების მანძილზე ემსახურება. ეს სერია – გრამატიკული ნარკვევი, ქრესტომათია (ლურსმული ტექსტები, ტრანსლიტერაცია, სიმფონია-ლექსიკონი, ლურსმული ნიშნების ცხრილი) და სილაბარიუმი, შუმერული ლურსმული ტექსტების წასაკითხად აუცილებელი სახელმძღვანელო, შეადგენს შუმერული ენის სწავლების ტრადიციულ სტრუქტურას და, ზოგადად, შუმეროლოგიის საფუძვლებს. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ამ სამი წიგნის ფუნქცია არ შემოიფარგლება საუნივერსიტეტო სწავლებით, არამედ დაეხმარება ყველას, ვინც კი მოინდომებს შუმერული ენის შესწავლას ან მისი სტრუქტურის გაცნობას დამოუკიდებლად (ცხადია, გარკვეული ფილოლოგიური მომზადების პირობით). სამიათასწლოვანი წერილობითი კულტურის მქონე შუმერული ენის კვლევა მუდმივ დინამიურ პროცესშია, დროთა ვითარებაში შემოდის ახლებური ფონეტიკური წაკითხვები (რაც მნიშვნელოვნად ცვლის ენის აკუსტიკურ ჰაბიტუსს), ფორმათა ახლებური, ხშირად ძველისგან პრინციპულად განსხვავებული ინტერპრეტაციები, განსაკუთრებით ზმნის სფეროში, რომელიც, ქართული ენის მსგავსად და მასზე კიდევ უფრო მეტად, წინადადების გულისგულია. შარაშენიძის მიერ შედგენილი ნარკვევი ითვალისწინებს ყოველივე ამას, იგი გამოხატავს შუმერული ენის ცოდნის თანამედროვე მდგომარეობას. ნარკვევში კარგად ჩანს ამ ენის აგლუტინაციურობის „უსაზღვრო“ შესაძლებლობანი, რომლებიც ძირითადად ზმნაში ვლინდება. ზმნის სირთულეს ის აადვილებს, რომ სხვადასხვა, ე. წ. მეორე პოზიციის პრეფიქსებისა (ზმნური ძირის წინ) და სუფიქსების (ზმნური ძირის შემდეგ) მიმდევრობა უგამონაკლისოდ მკაცრად განსაზღვრული და რაციონალურია, გამჭვირვალეა, როგორც კრისტალის აგებულება, თუმცა არის შუმერულ ზმნაში ე. წ. მოდალური პრეფიქსები, რომლებიც, განსხვავებით ქართული ზმ-

ნის პრეფიქსებისაგან, არ ცვლიან ზმნის სემანტიკას, მაგრამ რაღაც ჩვენთვის მოუხელთებელ ნიჟანსს ანიჭებენ მას. ნარკვევში დიდი მონაკვეთი ეძღვნება ამ სუფიქსების (მუ-, ე-, ბა-, იმმა- იმმი- და სხვა) მნიშვნელობათა დახასიათებებს, თუმცა მეჩვენება, რომ ისინი ჰიპოთეზურ დონეზე უნდა აღვიქვათ, რამდენადაც შუმერული ენის ცოცხალი მატარებლის არარსებობის პირობებში ჩვენ არ შეგვიძლია შევამოწმოთ ამა თუ იმ ინტერპრეტაციის სისწორე. ის კი ფაქტია, რომ პრეფიქს-სუფიქსებით ამგვარად აწყობილი ზმნური უღვლილებადი ფორმა, რომელიც, როგორც ერთი ფრაზა, მოიცავს მთელ ინფორმაციას, სათანადო ფორმანტის დართვით ადვილად შეიძლება იქცეს ბრუნვად სუბსტანტივად. და ეს შუმერული ენის, კერძოდ, ზმნის განუმეორებელი თავისებურება, რომელიც უხვად არის გამოყენებული ეპიკურ ტექსტებში, ნარკვევში, ცოტა არ იყოს, უფერულად არის წარმოდგენილი (§ 42), სასურველი კი იყო, რომ მას მეტი ყურადღება დასთმობოდა, როგორც სხვა შემთხვევებში ვადასტურებთ.

„შუმერული ქრესტომათიის“ პირველი სამი თავი შეიცავს სავარჯიშოებს. სტუდენტი ეცნობა ლურსმულ ნიშნებს სხვადასხვა სფეროდან, მათი აგებულების პრინციპებს, ტექსტების ტრანსლიტერაციას, ტრანსკრიფციას და თარგმანს და, რაც მნიშვნელოვანია, ტექსტის ლექსიკურ-გრამატიკულ ანალიზს (ეს არის ნიმუში, რომლის მიხედვითაც სტუდენტს შეუძლია დამოუკიდებლად, გრამატიკული ნარკვევის მოშველიებით, გააანალიზოს ნებისმიერი შუმერული ტექსტი. მეოთხე თავში წარმოდგენილია ყველა ჟანრის შუმერული ტექსტის ლურსმული ავტოგრაფი, მეხუთეში – მათი თარგმანი. ესენია მეფეთა წარწერები, მათ შორის, *ენმეთენასა* (ადრინდელი წაკითხვით *ენთემენა*) და *ურუინიმიგინას* (ადრინდელი წაკითხვით *ურუჟაგინა*) რეფორმები, გუდასა ქანდაკებათა წარწერები, გუდასა ვრცელი სამშენებლო წარწერები (ორი კონუსის ტექსტი), სამეურნეო და ადმინისტრაციული შინაარსის დოკუმენტები, იურიდიული (სყიდვა-გაყიდვის) საბუთები, სასამართლოს გადაწყვეტილებანი, ამონარიდი ლიფით-იშთარის კანონებიდან; ლიტერატურული ხასიათის ტექსტები: სიმღერა *უთუხეგალზე* (უფრო სწორად, *უთუხენგალზე*), გილგამეშსა და აგაზე, გოდება ლაგაშის აოხრებაზე, გოდება ურის დაქცევაზე, გოდება დუმუზიზე... ტექსტები განლაგებულია ქრონოლოგიური პრინციპით, რათა სტუდენტს საშუალება მიეცეს, თვალი გაადევნოს ლურსმული ნიშნების სახეცვლილების პროცესს. ტექსტებს ახლავს მხოლოდ თარგმანი, ივარაუდება, რომ ტრანსლიტერაცია თავად სტუდენტმა უნდა შეასრულოს, რისთვისაც სახელმძღვანელო საკმარისი რესურსებით არის აღჭურვილი. მეექვსე თავი წარმოადგენს მოცემული ტექსტების ვრცელ სიმფონია-ლექსიკონს ლექსიკურ ერთეულთა ზუსტი მითითებებითურთ.

„შუმერული სილაბარიუმი“ ფაქტიურად წარმოადგენს შუმერულ ლურსმულ ნიშანთა განვრცობილ ცხრილს თავისი საძიებლებითურთ. სილაბარიუმი მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში წარმოდგენილია ლურსმული ნიშნების დაწერილობათა ევოლუცია (ხატოვანიდან სქემატურამდე), რომელიც

განიცადა ლურსმულმა დამწერლობამ ძვ. წ. XXXIV და XVIII სს-ს შორის (სულ ხუთი ძირითადი პერიოდი). მისი საშუალებით სტუდენტს შეეძლება ნებისმიერი პერიოდის შუმერული ტექსტის წაკითხვა.

სახელმძღვანელოთა ამ კომპლექსს აკლია შუმერულ-ქართული ლექსიკონი, რომელიც, ავტორის ცნობით, „მზადების პროცესშია და მალე მიეწოდება დაინტერესებულ პირებს“. აქ უნდა დავძინოთ, რომ მიხეილ წერეთლის „სუმერულია და ქართული“ (1913) შემდეგ, რომელიც უიმედოდ მოძველებულია, ეს დიდი შენაძენი იქნება ქართული არა მხოლოდ სამეცნიერო საზოგადოებისთვის.

ზ. კ.

H. Nozadze. Lexika hurritского языка. N. Nozadze. Vocabulary of the Hurrian Language, Studies of the Society of Assyriologists Bibliologists and Caucasiologist (SABC) I [Tbilisi, 2007], 484 p.

ნანა ნოზაძის მონოგრაფიამ, რომელიც თითქმის ორ ათეულ წელზე მეტი ხნის წინათ იქნა შესრულებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში (ძველი აღმოსავლეთის განყოფილებაში), მისი ავტორისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო თავის დროზე ვერ იხილა დღის სინათლე. ნაშრომი ეყრდნობა მასალებს, რომლებიც იმხანად იყო ცნობილი ავტორისათვის და, საზოგადოდ, მეცნიერებისთვის. დასაძინა, რომ მასში ვერ ჰპოვა ასახვა ბოლო წლებში ახალდამოჩენილმა ხურიტულენოვანმა ლიტერატურულმა ტექსტებმა (1997), რომელთაც საკმაოდ გაამდიდრეს ცოდნა ხურიტული ლექსიკის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ხურიტული ლექსიკის საკითხებზე მრავალი წლის მანძილზე მუშაობდნენ ცნობილი მეცნიერები, ხურიტოლოგიის ფუძემდებლები – ლეო მესერშიდტი, ჰილდეგარდ ლევი, პ. გორდონ ბრანდენშტაინი, ა. ეფრაიმ სპეიხერი, ფრანსუა ტიურო-დანჟენი, გერნოტ ვილჰელმი, ფოლკერტ ჰაასი, ემანუილ ლაროში და სხვანი, მაინც ვერ მოხერხდა მეტნაკლებად სრული ხურიტული ლექსიკონის შექმნა. 1976-1977 წლებში ჟურნალმა *Revue Hittite et Asiatique* გამოქვეყნდა ლაროშის (Laroche) სიტყვარი, რომელიც ვერ ჩაითვლება სრულყოფილ ლექსიკონად. ამჟამად მუშავდება პროექტი სახელწოდებით *Literatur zum hurritischen Lexikon (LHL)*, რომლის პრეზენტაცია შედგა 2005 წელს რომში ხეთოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე. 2008 წელს კი გამოქვეყნდა მისი I ტომი, რომელშიც წარმოდგენილია მხოლოდ ასო A-თი დაწყებული სიტყვები დოკუმენტაციის გარეშე. ნ. ნოზაძის ნაშრომი ორი ათეული წლით მაინც უსწრებს წინ ამ საერთაშორისო მასშტაბის წამოწყებას, რომლის მხოლოდ პირველი ტომია ცნობილი სამეცნიერო საზოგადოებისთვის. ამრიგად, ნ. ნოზაძის ნაშრომი წარმოადგენს დღესდღეობით ყველაზე სრულ კომპენდიუმს ხურიტული ლექსიკისა, რომელიც გაწყობილია ანბანზე ძირების მიხედვით და ტექსტების მითითებით და ახლავს